

**წარსულის ინტერპრეტაციისა და აქტუალიზაციის პროცესი საქართველოს
პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვებში**

თამუნა ხაჯალია

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კავკასიის კვლევების მაგისტრის
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კავკასიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გია ნოდია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამუნა ხაჭალია

27.01.2018

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი ეხება სოციალური მეხსიერების ხატებსა და მათ როლს ეროვნული იდენტობისა და ეროვნულობის განსაზღვრაში სახელწიფოებრივ თუ ინდივიდუალურ დონეზე.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს მორის ჰალბვაქსისა და ალაიდა ასმანის კონცეფციები სოციალურ მეხსიერებასთან დაკავშირებით და ჰობსბომის თეორიას გამოგონილი ტრადიციების შესახებ. ამ თეორიების გამოყენებით ნაშრომის მიზანია აჩვენოს სოციალური მეხსიერების ხატების როლი, ცვლილებები და განვითარება სოციო-პოლიტიკური კონტექსტის მიხედვით. საკვლევ მასალად აღებულია საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები 1991-2008 წლებში.

ამ ტექსტებზე დაყრდნობით ნაშრომის ძირითადი მიზანია აჩვენოს თუ როგორ მიმდინარეობდა წარსულის გახსენებისა და სოციალური მეხსიერების ხატების აქტუალიზაციის პროცესი სხვადასხვა გამოწვევების ფონზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მეხსიერების ხატები, სოციალური მეხსიერება, ნაციონალიზმი, ეროვნული იდენტობა, ტრადიციები

Abstract

This study discusses icons of social memory and the role they play in the national identification and the patriotic feeling, on a national and individual level.

Theoretically, this thesis relies on the concepts of Maurice Halbwax and Aleida Assmann concerning social memory and the invented tradition of Eric Hobsbawm which will be used

to show the role, modification and development of the social memory's icons according to sociopolitical contexts.

Based on the inaugural words of presidents between 1991 and 2008, this research will exhibit how the past is brought up-to-date, and how the icons of social memory are employed in speeches depending on the challenges and the stakes.

Key Words: memory icons, social memory, nationalism, national identity, traditions

მადლობა

გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ჩემი ნაშრომის მომზადებაში.

პირველ რიგში მადლობას ვუხდით ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ გია ნოდისას, რომელმაც დამითმო უამრავი დრო და ენერჯია. მისი თანადგომით, აუცილებელი რჩევებითა და საჭირო შენიშვნებით გახდა შესაძლებელი კვლევის ჩატარება და ანაშრომის მომზადება.

ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანსა და წევრებს, რომელთაც შესაძლებელი გახადეს ჩემი სამაგისტრო კურსის დასრულება.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეგობარს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, ქალბატონ თამუნა ბაუჟაძეს, რომელიც დამეხმარა ყველა ტექნიკური პრობლემის მოგვარებაში და მომაწოდა კვლევასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ლიტერატურა.